

სავალუტო გარიგების მომსახურების წესები და პირობები

- წინამდებარე წესების (შემდგომში „წესები“ ან/და „დოკუმენტი“) მიზანია სავალუტო ბაზარზე სს „თიბისი ბანკსა“ (შემდგომში „თიბისი ბანკი“ ან/და „ბაზრის მონაწილე“) და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებული ძირითადი პირობების/საკითხების აღწერა;
- დოკუმენტში გამოყენებული ტერმინებს აქვთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო პრაქტიკაში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა;
- ნებისმიერი გარიგებასა და წესებით განსაზღვრულ პირობას შორის ან/და თიბისი ბანკის მიერ კლიენტისთვის გაცხადებულ ნებისმიერ პირობასა და წესებით განსაზღვრულ პირობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გარიგებით განსაზღვრულ ან/და თიბისი ბანკის მიერ კლიენტისთვის გაცხადებულ პირობას.

1. სავალუტო გარიგების მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვა ნორმები

- 1.1. სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისას წარმოშობილი ურთიერთობები, მათ შორის ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით გარიგების დადებისას წარმოშობილი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- 1.2. ბაზრის მონაწილე მომსახურების გაწევისას, მათ შორის ხელმძღვანელობს FX გლობალური კოდექსით (შემდგომში „FX კოდექსი“) https://www.globalfxc.org/docs/fx_global.pdf, რომელიც არ არის საკანონმდებლო აქტი, თუმცა წარმოადგენს მისაღები ქცევის სტანდარტების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს, ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარებას.
- 1.3. ბაზრის მონაწილე მომსახურების გაწევისას მოქმედებს საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, მათ შორის FX კოდექსში მოცემული მეთოდებით.

2. ბაზრის მონაწილის როლი და სავალუტო მომსახურების გაწევისას მოქმედი ზოგადი პრინციპები

- 2.1. სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით, კლიენტთან ურთიერთობაში, მისი დავალების შესრულებისას ან/და შესრულებასთან დაკავშირებით ბაზრის მონაწილე, როგორც წესი მოქმედებს პრინციპალი მოვაჭრის ან აგენტი მოვაჭრის სტატუსით;
- 2.2. კლიენტს შეუძლია ა) ბაზრის მონაწილესთან გარიგება დადოს როგორც კონტრაქტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები ან ბ) მისცეს ბაზრის მონაწილეს დავალება, რომ კლიენტის გარიგება დადოს სავალუტო ბაზარზე (მათ შორის Bmatch პლატფორმაზე). პირველ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე გამოდის როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ხოლო მეორეში როგორც აგენტი მოვაჭრე.

- 2.3. ბაზრის მონაწილე სავალუტო ოპერაციას ახორციელებს კლიენტის დავალების საფუძველზე. **ბაზრის მონაწილე არ არის ვალდებული მიიღოს/შეასრულოს კლიენტისგან მიღებული დავალება.**
- 2.4. კლიენტის დავალების მიღება ან/და კლიენტთან დადებულ გარიგებასთან დაკავშირებული კომუნიკაცია, როგორც წესი ხორციელდება წესების მე-3 მუხლით განსაზღვრული ფორმით.
- 2.5. წესებით აღწერილ სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით, როგორც წესი, ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის იდება ხელშეკრულება/გარიგება, რის შემდეგაც ხდება კლიენტის დავალების შესრულება. ხელშეკრულების/გარიგების დადება ასევე შეიძლება მოხდეს კონკრეტული დოკუმენტის გაფორმების/ხელმოწერის გარეშე, ბაზრის მონაწილის მიერ კლიენტის დავალების შესრულებით.
- 2.6. სავალუტო ოპერაციებთან ან/და დავალებასთან დაკავშირებით კლიენტთან კომუნიკაციას ბაზრის მონაწილე ახორციელებს ზუსტად, ნათლად, პროფესიონალურად და ისე, რომ მიზანმიმართულად არ მოხდეს კლიენტის შეცდომაში შეყვანა. ამასთან:
- 2.6.1. ამ წესით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, ბაზრის მონაწილეს შეუძლია გააცნოს კლიენტს მხოლოდ ბაზრის ზოგადი ტენდენციები, კონფიდენციალურობის დაცვით მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას;
- 2.6.2. ვალუტის გაცვლის დავალების მიღების შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეს შეუძლია, აღნიშნული დავალების შესრულებამდე კლიენტს აცნობოს, მის მიერ განხორციელებული წინასწარი კვლევების ან ქმედებების შესახებ (მათ შორის წინარე ჰეჯირების შესახებ), რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კლიენტის დავალების შესრულების პირობებზე;
- 2.6.3. წინარე ჰეჯირების შემთხვევაში, ბაზრის მონაწილე გააცნობს კლიენტს ინფორმაციას წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, აგრეთვე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. (წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს).
- 2.7. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით პირდაპირ არის მითითება აღნიშნულის შესახებ:
- 2.7.1. ნებისმიერი გარიგების დადებისას ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი/ფიდუციარი ან/და მრჩეველი;
- 2.7.2. სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ და ყველა მომსახურებას, მათ შორის გარიგებების დადებას, ბაზრის მონაწილე ახორციელებს იმ დამშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები

საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და/ან მესამე პირების პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

2.8. კლიენტის მომსახურებისას და სავალუტო გარიგებების დადებისას ან/და მომსახურებისას:

2.8.1. აკრძალულია ბაზრის მონაწილის მიერ წინსწრებით ვაჭრობა, რაც წარმოადგენს ისეთ ქმედებას ან ქმედებათა ერთობლიობას, როდესაც ბაზრის მონაწილე, კლიენტის დავალების გარეშე, დავალების შესახებ წინასწარ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ (მესამე პირის მეშვეობით), წინასწარ დებს გარიგებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

2.8.2. აკრძალულია სავალუტო ბაზრით მანიპულაცია. ბაზრის ნებისმიერ მონაწილეს ეკრძალება ისეთი გარიგებების დადება, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის ფასებით ხელოვნურად მანიპულირებას, მათ შორის ოფიციალური გაცვლითი კურსით ხელოვნურად მანიპულირებას. სავალუტო ბაზრის მანიპულაციად განიხილება, მათ შორის, ისეთი ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს ა) სავალუტო ბაზრის თავისუფალი და სამართლიანი ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას ან/და ბ) ეკონომიკური სარგებლის მიღებას საბაზრო ფასზე ხელოვნურად ზემოქმედების გზით.

2.8.3. აკრძალულია ბაზრის მონაწილის მიერ ნებისმიერი ქმედების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას. კლიენტსა და ბაზრის მონაწილეს შორის სავალუტო ოპერაციასთან დაკავშირებით გარიგების დადება არ ზღუდავს კლიენტის უფლებას მიიღოს იგივე მომსახურება ბაზრის სხვა მონაწილისგან.

3. კლიენტთან კომუნიკაციის ფორმა

3.1. ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია მოხდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით;

3.2. როგორც წესი ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციას ახორციელებს ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტ ბანკის და ასევე შეტყობინების გაგზავნის სხვა მექანიზმებით, როგორც არის Bloomberg ჩეთი (კომუნიკატორი), მყისიერი შეტყობინებები და სხვა.

4. ელექტრონული ვაჭრობა, BMatch პლატფორმაზე განაცხადის დადება

4.1. ელექტრონული ვაჭრობა

4.1.1. კლიენტისგან მიღებული დავალებების აღსრულება მოხდება სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით და მათგან გამომდინარე და შეძლებისდაგვარად დავალებაში მითითებული პარამეტრების შესაბამისად ან სხვაგვარად.

4.1.2. ბაზრის მონაწილის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სავალუტო დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებაზე. ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება ეცნობებათ კლიენტებს;

- 4.1.3. როდესაც ხდება კლიენტის დავალების მიღება მისი Bloomberg-ის ელექტრონულ პლატფორმაზე განსათავსებლად, ბაზრის მონაწილემ უნდა დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პირობები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის წესებს და პლატფორმის ფუნქციონირებას.
- 4.1.4. თუკი ერთი და იგივე პროდუქტზე ანდა ვალუტის წყვილზე განთავსებულია რამდენიმე იდენტური დავალება, დავალებებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ხდება ბაზრის მონაწილის მიერ დავალების მიღების დროიდან გამომდინარე, first come first serve პრინციპის გათვალისწინებით.

4.2. BMatch პლატფორმა და მასზე კლიენტის დავალების განთავსება

- 4.2.1. BMatch არის ბლუმბერგის სავალუტო სავაჭრო პლატფორმა (შემდგომში „BMatch“), რომელიც სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამჭირვალობასა და ლიკვიდობას;
- 4.2.2. BMatch ბაზრის მონაწილეებს ეხმარება საბაზრო ფასების დადგენასა და ვაჭრობის განხორციელებაში;
- 4.2.3. BMatch-ზე გარიგების ყველა დეტალი ხორციელდება და დასტურდება ელექტრონულად.
- 4.2.4. ბაზრის მონაწილისთვის დავალების მიცემისას კლიენტმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს, რომ სურს დავალების/განაცხადის განთავსება BMatch-ზე. კლიენტის დავალებაში უნდა იყოს მითითებული თანხა და სასურველი კურსი ან იმ მომენტში პლატფორმაზე არსებული საუკეთესო კურსი. ამასთან კლიენტი ვალდებულია ბაზრის მონაწილის მიერ მითითებულ ანგარიშზე იქონიოს გარიგების სრული თანხა.
- 4.2.5. BMatch-ზე ვაჭრობის წესები განსხვავებულია ბლუმბერგის ერთიან სისტემაში მოქმედი სტანდარტული ვაჭრობის წესებისგან. Bmatch-ზე განაცხადის ავტორის (კლიენტი) ანონიმურია და გარიგების დადებად გარიგების მხარეებისთვის უცნობია ერთმანეთის ვინაობა. Bmatch უზრუნველყოფს შემხვედრი გარიგებების ავტომატურ დაწყვილებას („მეჩინგ“) და აღსრულებას.
- 4.2.6. BMatch-ზე კონტრაქტების რისკების მართვა ხორციელდება ბაზრის მონაწილეების მიერ განსაზღვრული სავაჭრო ლიმიტების საშუალებით.
- 4.2.7. BMatch-ზე გარიგებების დაწყვილება და აღსრულება ხდება იმ შემთხვევაში თუ მყიდველის შეთავაზებული ფასი დაემთხვევა გამყიდველის განაცხადში მითითებულ ფასს. ხოლო, თუ რამდენიმე კლიენტს აქვს დაფიქსირებული ერთიდაიგივე ფასი, მეჩინგი მოხდება დროის პარამეტრით (ავტომატურად დაიმეჩება და აღსრულება ის გარიგება, რომლის განაცხადიც უფრო ადრე იყო დადებული BMatch-ზე).
- 4.2.8. ბაზრის მონაწილე გარიგების დადების შესახებ კლიენტს ატყობინებს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მიმდინარე სამუშაო დღის დასრულებისა. BMatch-ზე დადებული გარიგებები საბოლოოა და ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას. კურსის ცვლილება არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი. გარიგების პირობების ცვლილება ან/და გარიგების გაუქმება შესაძლებელია გარიგების ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. ასეთ

შემთხვევაში ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია განსაზღვროს შესაძლო ზარალის ანაზღაურების საკითხები.

4.3. ბაზრის მონაწილის მარჟა-თანხით უზრუნველყოფა (აგენტი მოვაჭრე)

4.3.1. FX Spot-ისა და FX Forward-ული გარიგებების დროს, ბაზრის მონაწილემ კლიენტს შეიძლება დაუწესოს მარჟის ლიმიტი სავაჭრო მოცულობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოცულობის დაჯამება არ ხდება ინსტრუმენტებს შორის, თითოეული ტიპის ინსტრუმენტის მოცულობა გამოითვლება ცალკე ამ ინსტრუმენტით დადებული გარიგების გამოყენებით;

4.3.2. Bmatch-ზე ვაჭრობისათვის კლიენტი ვალდებულია ანგარიშზე განთავსებული ჰქონდეს გარიგების სრული თანხა. თუმცა ბაზრის მონაწილესთან დამატებითი შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია კლიენტმა ბაზრის მონაწილესთან განათავსოს ვაჭრობის მოცულობის მარჟა, რომელიც განისაზღვრება ბაზრის მონაწილესთან წინასწარი შეთანხმების შესაბამისად. მარჟის გამოყენება ბაზრის მონაწილის მიერ მოხდება კლიენტის დამატებითი ნებართვის გარეშე იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი დროულად არ მოახდენს დადებული გარიგების ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხის მობილიზებას ანგარიშსწორების დღის 12:00 საათამდე.

5. სავალუტო გარიგების აღსრულება

5.1. ბაზრის მონაწილე მოქმედებს სამართლიანად და გამჭვირვალედ, რაც კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას.

5.2. Bmatch-ზე:

5.2.1. კლიენტის დავალების მიღებისას ბაზრის მონაწილეს შეუძლია ჩამოჭრას გასაყიდი თანხა კლიენტის ანგარიშიდან და / ან გამოიყენოს მარჟების ან თანხის დაჯავშნის მეთოდი.

5.2.2. Bmatch პლატფორმაზე გარიგებების ანგარიშსწორება ხდება მისი დადებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, T+1 პრინციპით, ხოლო ანგარიშსწორების ტარიფი არის ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ განსაზღვრული ანგარიშსწორების ტარიფი. ბაზრის მონაწილე კლიენტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს იმავე ვადებში, როგორც ეს პლატფორმაზეა დადგენილი (T+1);

5.2.3. კლიენტის დავალების სხვა ბაზრის მონაწილესთან შესრულების შემთხვევაში, დავალების მიმღებ ბაზრის მონაწილეს შეუძლია კლიენტს ნაყიდი თანხა ჩაურიცხოს დავალების შემსრულებელი ბაზრის მონაწილისგან შესაბამისი თანხის მიღების შემდეგ.

5.3. ფორვარდული გარიგებების ანგარიშსწორება ხდება აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

5.4. Bmatch პლატფორმაზე კლიენტის დავალების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში, ბაზრის მონაწილე არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა დაუბრუნებს კლიენტს გაუქმებული დავალების შესაბამის თანხას.

5.5. ბაზრის მონაწილე განაცხადის პირობებს შეცვლის მხოლოდ კლიენტის ინსტრუქციის მიღების შემთხვევაში, თუკი ამ მომენტისთვის განაცხადი არ იქნება დაკმაყოფილებული. აგენტის როლში კლიენტთან ურთიერთობისას, დავალების მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტი არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მთლიანად არ შეივსოს/არ დაკმაყოფილდეს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული/დაკმაყოფილებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

6. კლიენტისთვის ფასის განსაზღვრა

6.1. ბაზრის მონაწილის მიერ კლიენტისთვის დაწესებული საფასური შეიძლება შეიცავდეს ან/და დაეფუძნოს წინასწარ განსაზღვრული ფასების დონეს, ქვემოთ მოცემული რომელიმე, რამდენიმე ანდა ყველა ფაქტორების გათვალისწინებით: ლიკვიდურობა, მოცულობა, ვადიანობა, ვალუტის წყვილი ან სხვა შესაბამისი ფაქტორები (თითოეულ შესაბამის საფეხურს, აქვს შესაბამისი ფასი).

6.2. პროდუქტებისა და მომსახურების ფასდადება ხდება მათი ეკონომიკური დანახარჯების გათვალისწინებით და ამ მიზნით:

6.2.1. ბაზრის მონაწილე რამდენიმე პროდუქტის ერთ პაკეტად შეთავაზების შემთხვევაში, კლიენტს აწვდის ინფორმაციას პროდუქტების როგორც ჯამური ფასის, ასევე პაკეტის თითოეული შემადგენელი პროდუქტის ცალკეული ფასის შესახებ;

6.2.2. კლიენტს გაუმჟღავნებს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას პაკეტის იმ კომპონენტის შესახებ, რომელიც არ მონაწილეობს პაკეტის ფასდადებაში, ასევე მიაწვდის ინფორმაციას დაკავშირებული რისკების შესახებაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში

6.2.3. განუმარტავს კლიენტს შესაძლებელია თუ არა პაკეტის შემადგენელი მომსახურებს ცალკე, დამოუკიდებლად მიღება.

6.3. ბაზრის მონაწილე, როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასის განსაზღვრისას ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების ზომა ან / და სირთულე, გარიგებების სიხშირე ან/და ჯამური მოცულობა (მათ შორის გასული პერიოდის განმავლობაში), საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ზემოხსენებული ფაქტორები შესაძლებელია იყოს განსხვავებული და შესაბამისად ბაზრის მონაწილემ შესაძლებელია სხვადასხვა კლიენტს შესთავაზოს სხვადასხვა ფასი ერთი და იგივე ან მსგავსი FX სპოტ და FX ფორვარდული გარიგების დროს;

6.4. BMatch-ზე განაცხადის განთავსებისთვის განსაზღვრული საფასური არის ერთნაირი ყველა კლიენტისთვის და განისაზღვრება ბაზრის მონაწილის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად და წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც

განთავსებულია

ბაზრის

მონაწილის

ვებ-გვერდზე

<https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/fees-for-legal-entities>.

7. დავები

სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული მომსახურებისას წარმოშობილი დავები შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსური ბაზრების ხაზინების ასოციაციის შესაბამის სამსახურის მიერ ანდა ეროვნულ ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტის ანდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

8. ცვლილებები

აღნიშნულ დოკუმენტში სს „თიბისი ბანკის“ მიერ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის მისი ვებ-გვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/treasury-products> განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.